GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა / Bachelor Programme in Governance
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი/Bachelor of Public Administration
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 კრედიტი
სწავლების ენა: ქართული
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: საბაკალავრო
პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელები: გიორგი მარგველაშვილი, ნანი მაჭარაშვილი, გვანცა ბესელია

პროგრამის აღწერა:

ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მმართველობის საბაკალავრო პროგრამა (Bachelor Programme in Governance) ეფუძნება საჯარო მმართველობის მიმართულებით სწავლებისა და კვლევის 30 წლიან გამოცდილებას. მისი დანიშნულებაა უნიკალური მმართველობითი ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობის გამომუშავება, რომელიც დაინტერესებულ პირებს ეხმარება საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური ცვლილებების მართვაში SIGMA-ს საჯარო მმართველობის ექვსივე მიმართულების ფარგლებში და იძლევა შესაბამის პოზიციებზე დასაქმებისა და წინსვლის შესაძლებლობას უშუალოდ საჯარო სექტორში, ასევე ზრდის სფეროსთვის რელევანტური მიმართულებებით საჯარო მმართველობის პრობლემებზე რეაგირების პოტენციალს საჯარო სექტორის მიღმაც არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმების პერსპექტივების გაჩენით. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს სწავლის გაგრძელების საშუალებას სამაგისტრო დონეზე. სწავლების ინოვაციური და პრაქტიკაზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით, პროგრამა ორიენტირებულია დაანახოს სტუდენტს საჯარო მმართველობის საკითხების კომპლექსური შესწავლისა და გადაწყვეტის გზები და სიმულაციურ გარემოებებში მოახდინოს ამ ცოდნის მაქსიმალურად რეალობასთან მიახლოვებულ პირობებში მართვის უნარების დაუფლება კონკრეტულ მაგალითებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე დაყდნობით.

პროგრამის მიზანი

მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:
მიზანი 1 - შესძინოს საჯარო მმართველობის ექვსივე მიმართულებისთვის (საჯარო მმართველობის ორგანიზება, პოლიტიკის (Policy) დაგეგმვა/კოორდინაცია, ადამიანური რესურსების მართვა, საჯარო სერვისების მართვა, საჯარო ფინანსები მართვა და ანგარიშვალდებულება და კეთილსინდისიერება) რელევანტური ძირითადი თეორიების, მართვის პრინციპების, მმართველობითი პროცესის ინოვაციური და ეფექტიანი/ეფექტური ინსტრუმენტების საფუძვლების შესახებ ცოდნა შესაბამისი მენეჯერული, ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური განზომილებების გათვალისწინებითა და საერთაშორისო პრაქტიკებზე დაყრდნობით.
მიზანი 2 - შესძინოს ფართო ცოდნა და გამოუმუშავოს უნარები სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსების, მათი მართვისა და ადმინისტრირების პრინციპების, მეთოდებისა და მოდელების შესახებ, მტკიცებულებებსა და შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.
მიზანი 3 - გამოუმუშაოს როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ დონეზე საჯარო მმართველობის სფეროს პრობლემის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით მათი გუნდურად და ინდივიდუალურად გადაჭრის უნარი, ასევე საჯარო მმართველობის ყველა დონეზე (ეროვნულ, სექტორულ, ორგანიზაციულ). ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტს შესძინოს სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის კოორდინაციისთვის აუცილებელი პროცესებისა და ინდიკატორების, საჯარო ინსტიტუციის სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოს, ანგარიშვალდებულების, ანგარიშგებისა და შეფასების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვის, მომსახურების/საზოგადოებრივი სიკეთის მიწოდების, საჯარო სერვისებისა და ფინანსების მართვის საფუძვლები.

მიზანი 4 - გამოუმუშაოს საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების ანალიზისა და მათზე, წინასწარ განსაზღვრული მითითების შესაბამისად, აკადემიური/კვლევითი კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვით კვლევითი პროექტის განხორციელების უნარ-ჩვევები.
მიზანი 5 - გამოუმუშაოს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული რელევანტური ანგარიშების/დოკუმენტების მომზადებისა და მათი პროფესიულ და არაპროფესიულ საზოგადოებასთან თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარდგენის უნარი.
მიზანი 6 - განუვითაროს საჯარო მმართველობის პროფესიული ეთიკის, კარგი მმართველობის პრინციპების დაცვის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, სახელმწიფოს მართვის დემოკრატიული პრინციპების ერთგულების, პატივისცემისა და პროფესიული განვითარების ავტონომიურად წარმართვის უნარი.

პროგრამის სწავლის შედეგები

მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

სწავლის შედეგი 1 - აღწერს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად თეორიებს, ტენდენციებს, პრინციპებს, დარგის განვითარების ეტაპებს, მმართველობითი პროცესის ინოვაციურ და ეფექტიან/ეფექტურ ინსტრუმენტებს, მათ შორის საერთაშორისო დონეზე.
სწავლის შედეგი 2 -ეროვნულ, სექტორულ და ორგანიზაციულ დონეზე განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის კოორდინაციისთვის აუცილებელ პროცესებს და ინდიკატორებს, აღწერს საჯარო ინსტიტუციების ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებსა და ანგარიშვალდებულების, მართვის ეფექტური სისტემის დანერგვის, საზოგადოებრივი სიკეთის მიწოდების და საჯარო ფინანსების მართვის ძირითად პრინციპებს;
სწავლის შედეგი 3 - განიხილავს სახელმწიფო მოწყობისა და საჯარო მმართველობის ინსტიტუციურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განზომილებებსა და ძირითად მახასიათებლებს, აღწერს ადმინისტრაციული ორგანოების ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმებს, შედეგზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისთვის საჭირო მექანიზმებს;
სწავლის შედეგი 4 - ორგანიზაციის თავისებურებების გათვალისწინებით განსაზღვრავს მისი ეფექტური ფუნქციონირებისთვის რელევანტურ რესურსებისა და საქმიანობის მართვისა და ადმინისტრირების პრინციპებს, მეთოდებსა და მოდელებს.

უნარი

სწავლის შედეგი 5 - აიდენტიფიცირებს და აანალიზებს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ პრობლემებს და რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების, მათ შორის საჯარო პოლიტიკის ანალიზის ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, სხვადასხვა პერსპექტივიდან შეიმუშავებს მათი გადაჭრის რელევანტურ გზებს.
სწავლის შედეგი 6 - წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად და ხელმძღვანელობით საჯარო მმართველობის დარგში დროის სწორი განაწილებით გეგმავს და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, ახორციელებს კვლევით პროექტს.
სწავლის შედეგი 7 - ჯგუფური მუშაობის ფარგლებში მონაწილეობს საჯარო მმართველობის სფეროსთვის რელევანტური ანგარიშების/დოკუმენტების შემუშავებაში, აყალიბებს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ არგუმენტირებულ დასკვნებს და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ეფექტურად წარუდგენს დაინტერესებულ მხარეებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სწავლის შედეგი 8 - საკუთარ საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკის, ეტიკეტის და კარგი მმართველობის (Good Governance) პრინციპებზე დაყრდნობით, საჯარო მმართველობის სფეროში პრობლემების გადაჭრისას ითვალისწინებს დემოკრატიულ ფასეულობებს, კონსტიტუციურ წესრიგს და ადამიანის უფლებებს;
სწავლის შედეგი 9 - გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით მონაწილეობს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების მართვის პროცესში და განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიული განვითარების საჭიროებებს.

სწავლება-სწავლის მეთოდები:

მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სპეციფიკური მასალის ათვისებას და კონკრეტული უნარებისა და პასუხისმგებლობების განვითარებას და თანხმობაშია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასების შესაბამის მიდგომებსა და კრიტერიუმებთან აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებთან სიღრმისეული უკუკავშირის ვალდებულების დაცვის პირობით. მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები ეყრდნობა საუკეთესო პრაქტიკის და საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების გამოცდილებას და ხორციელდება შემდეგი გავრცელებული მეთოდებით: ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, ვერბალური მეთოდი (Verbal Method), დემონსტრირების მეთოდი (Demonstrate Method), პრეზენტაცია (Presentation), პრაქტიკული მუშაობა (Practical Work), ჯგუფში მუშაობა (Group Work), პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project Based Study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem Based Study), სწავლება კეთებით (Learning by Doing), შემთხვევის შესწავლა (Case Study), სიმულაციური სწავლება (Simulation Study), დისკუსია/ დებატები (Discussions/Debates), ელექტრონული სწავლება და სხვა.

დასაქმების სფერო:

მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ და მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენონ სახელმწიფო სტრუქტურებში, როგორც ადგილობრივ ასევე ცენტრალური მმართველობის ორგანოებში, არასამთავრობო სექტორსა და კერძო სექტორში, მათ შორის სფეროსთან რელევანტურ საერთაშორისო ორგანიზაციებში. პროგრამა კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ პრაქტიკულ საქმიანობაში საჯარო მმართველობის სხვადასხვა მიმართულებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; ინგლისური ენა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მაქსიმალური შეფასების 60%); ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანების დანართი N3-ით გათვალისწინებული ერთ-ერთი არჩევითი საგანი (მათემატიკა/ისტორია/სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია).

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;
გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს

მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საჯარო მმართველობის ან სხვა მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე (თუ მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული კონკრეტული კვალიფიკაციით), რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით საგნებს უძღვება როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ საჯარო მმართველობის საკითხების მენეჯმენტის პრაქტიკული გამოცდილება და კომპეტენციები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში N3.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის მიღმაც და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:

პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი მარგველაშვილი
მეილი: g.margvelashvili@gipa.ge

პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი გვანცა ბესელია
მეილი: g.beselia@gipa.ge

პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: პროფესორი ნანა (ნანი) მაჭარაშვილი
ტელ: (995 32) 249 75 00 მობ: + (995) 593 488 211
მეილი: nana.macharashvili@gipa.ge

საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი						სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი		III წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი							
				I	II	III	IV	V	VI		
				30	25	30	30	25	20		
სავალდებულო საგნები (160 ECTS)											
პირველი სემესტრი											
1	PA1_1	არ გააჩნია	მენეჯმენტის საფუძვლები და მართვის პრინციპები საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის	5						30	95
2	PA1_2	არ გააჩნია	შესავალი სამართალში	5						30	95
3	PA1_3	არ გააჩნია	ეკონომიკის საფუძვლები	5						30	95
4	PA1_4	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5						30	95
5	PA1_5	არ გააჩნია	ინგლისური ენა 1	5						48	77
6	PA1_6	არ გააჩნია	მენეჯმენტის ლაბორატორია (პროფესიული უნარები დონე 1)	5						30	95
მეორე სემესტრი											
7	PA2_1	მენეჯმენტის საფუძვლები და მართვის პრინციპები საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის	შესავალი საჯარო მმართველობაში		5					30	95
8	PA2_2	აკადემიური წერა	თვისებრივი კვლევის მეთოდები		5					30	95
9	PA2_3	შესავალი სამართალში	სახელმწიფო მოწყობა - საკონსტიტუციო სამართალი		5					30	95
10	PA2_4	არ გააჩნია	ეფექტური კომუნიკაციის უნარები		5					30	95
11	PA2_5	ინგლისური ენა 1	ინგლისური ენა 2		5					48	77
მესამე სემესტრი											
12	PA3_1	მენეჯმენტის საფუძვლები და მართვის პრინციპები საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის	ფინანსური მენეჯმენტი: საჯარო ფინანსებისა და ბიუჯეტის მართვა			5				30	95
13	PA3_2	სახელმწიფო მოწყობა - საკონსტიტუციო სამართალი	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზება და მართვა			5				30	95
14	PA3_3	შესავალი საჯარო მმართველობაში/ შესავალი სამართალში	ადმინისტრაციული სამართალი და საჯარო სექტორის საქმიანობა			5				30	95
15	PA3_4	არ გააჩნია	პროტოკოლი - დიპლომატიური, ოფიციალური და სოციალური ურთიერთობებისთვის			5				30	95
16	PA3_5	აკადემიური წერა	მონაცემთა ანალიზი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები			**5**				30	95
17	PA3_6	ინგლისური ენა 2	ინგლისური ენა 3			5				48	77
მეოთხე სემესტრი											

18	PA4_1	არ გააჩნია	საჯარო სამსახურში სამოხელეო კორესპონდენციის წარმოება და მართვა				5			30	95
19	PA4_2	ეფექტური კომუნიკაციის უნარები	სტრატეგიული კომუნიკაცია და PR საჯარო სექტორში				5			30	95
20	PA4_3	შესავალი საჯარო მმართველობაში	ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზისა და შეფასების მეთოდები საჯარო სექტორში				5			30	95
21	PA4_4	შესავალი სამართალში/ ადმინისტრაციული სამართალი და საჯარო სექტორის საქმიანობა	სამოხელეო სამართალი				5			30	95
22	PA4_5	შესავალი საჯარო მმართველობაში	საჯარო პოლიტიკის ანალიზი: პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება				5			30	95
23	PA4_6	ინგლისური ენა 3	ინგლისური ენა 4				5			48	77
მეხუთე სემესტრი											
24	PA5_1	შესავალი საჯარო მმართველობაში, სამოხელეო სამართალი	ანტიკორუფციული პოლიტიკის მართვა და ეთიკა საჯარო სამსახურში					5		30	95
25	PA5_2	შესავალი საჯარო მმართველობაში	ღია მმართველობა, ღია მონაცემთა მართვა და საზოგადოებრივი ჩართულობა საჯარო სექტორში					5		30	95
26	PA5_3	შესავალი საჯარო მმართველობაში	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში					5		30	95
27	PA5_4	შესავალი საჯარო მმართველობაში	ევროინტეგრაცია, ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკის მართვა					5		30	95
28	PA5_5	მენეჯმენტის ლაბორატორია (პროფესიული უნარები დონე 1)	მენეჯმენტის ლაბორატორია (პროფესიული უნარები დონე 2)					5		30	95
მეექვსე სემესტრი											
29	PA6_1	შესავალი საჯარო მმართველობაში	საჯარო ოპერაციათა/სერვისების დაგეგმვა, მართვა და შეფასება საჯარო სექტორში						5	30	95
30	PA6_2	შესავალი საჯარო მმართველობაში	საჯარო მმართველობის რეფორმირების გამოცდილება და კარგი პრაქტიკები						5	30	95
31	PA6_3	არ გააჩნია	საჯარო მმართველობა და პოლიტიკური პროცესი						5	30	95
32	PA6_4	ყველა სავალდებულო საგანი მეხუთე სემესტრის ჩათვლით	საჯარო მმართველობის კვლევითი პროექტი						5	30	95
სპეციალობის არჩევითი საგნები (15 კრედიტი)											
33	PA_El1	შესავალი საჯარო მმართველობაში	საჯარო მმართველობა და სექტორული პოლიტიკის კურსები მოქმედებაში					5	5	30	95
34	PA_El2	მენეჯმენტის საფუძვლები და მართვის პრინციპები საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, შესავალი საჯარო მმართველობაში	ლიდერობა საჯარო სამსახურში					5	5	30	95
35	PA_El3	ეკონომიკის საფუძვლები	ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკის მართვა					5	5	30	95
36	PA_El4	მენეჯმენტის საფუძვლები და მართვის პრინციპები საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის	ქვეყნის ბრენდინგის მენეჯმენტი					5	5	30	95
37	PA_El5	შესავალი საჯარო მმართველობაში, სამოხელეო სამართალი	საქართველოს საჯარო მმართველობა შედარებით კონტექსტში					5	5	30	95

38	PA_El6	მენეჯმენტის საფუძვლები და მართვის პრინციპები საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, შესავალი საჯარო მმართველობაში	ორგანიზაციული ქცევა					5	5	30	95
39	PA_El6	ღია მმართველობა, ღია მონაცემთა მართვა და საზოგადოებრივი ჩართულობა საჯარო სექტორში	ადვოკატირება საჯარო სექტორის ცვლილებებისთვის					5	5	30	95
40	PA_El8	ღია მმართველობა, ღია მონაცემთა მართვა და საზოგადოებრივი ჩართულობა საჯარო სექტორში	არასამთავრობო ორგანიზაციების მენეჯმენტი და სამოქალაქო მონაწილეობა					5	5	30	95
41	PA_El9	შესავალი საჯარო მმართველობაში	საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი კონტრიბუცია საჯარო მმართველობითი ცვლილებებისთვის					5	5	30	95
თავისუფალი არჩევითი საგნები (5 კრედიტი)											
42	PA_Free1	არ გააჩნია	მსოფლიო ცივილიზაციები		**5**					30	95
43	PA_Free2	არ გააჩნია	სოციალური მეცნიერებები		**5**					30	95
44	PA_Free3	არ გააჩნია	ინდივიდი და საზოგადოება მსოფლიო ლიტერატურაში		**5**					30	95
45	PA_Free5	არ გააჩნია	დემოკრატია, მედია, ძალაუფლება		**5**					30	95
46	PA_Free6	არ გააჩნია	მოლაპარაკებების ხელობა და ხელოვნება		**5**					30	95
47	PA_El11	არ გააჩნია	კოლექტიური მეხსიერების მართვა და ქართული იდენტობის მარკერები		**5**					30	95

ცხრილი # 1: მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა N1

პროგრამის მიზნები						
	მიზანი 1	მიზანი 2	მიზანი 3	მიზანი 4	მიზანი 5	მიზანი 6
ცოდნა და გაცნობიერება						
შედეგი 1						
შედეგი 2						
შედეგი 3						
შედეგი 4						
უნარი						
შედეგი 5						
შედეგი 6						
შედეგი 7						
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა						
შედეგი 8						
შედეგი 9						

ცხრილი N3: მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

რუკაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო საგნებთან მიმართებით, რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია სამ (3) დონედ: ა) I (Introduction) - გაცნობითი დონე, ბ) D (Development of knowledge) - ცოდნის გაღრმავება, გ) M (Mastering) - ცოდნის განმტკიცება. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს - P (Practical application of knowledge/research). ასევე შესაძლებელია, რომ სასწავლო კურსი გადიოდეს განვითარებისა და პრაქტიკის (DP) ან გაღრმავებისა და პრაქტიკის (MP) დონეზე.

	სასწავლო კომპონენტი	ცოდნა და გაცნობიერება					უნარები		პასუხის მგებლობა და ავტონომიურობა	
		1	2	3	4	5	6	7	8	9
	სავალდებულო კურსები									
1.	მენეჯმენტის საფუძვლები და მართვის პრინციპები საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის	I							I	
2.	შესავალი სამართალში	I		I						
3.	ეკონომიკის საფუძვლები	I			I					
4.	აკადემიური წერა	I					I			
5.	ინგლისური ენა 1-4	I						I		
6.	მენეჯმენტის ლაბორატორია (პროფესიული უნარები დონე 1)	I							I	I
7.	შესავალი საჯარო მმართველობაში	I								
8.	თვისებრივი კვლევის მეთოდები						I	I		
9.	სახელმწიფო მოწყობა - საკონსტიტუციო სამართალი		I	I						
10.	ეფექტური კომუნიკაციის უნარები							I		
11.	ფინანსური მენეჯმენტი: საჯარო ფინანსებისა და ბიუჯეტის მართვა	D		D	D					
12.	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზება და მართვა	D		D	D					
13.	ადმინისტრაციული სამართალი და საჯარო სექტორის საქმიანობა	D	D	D	D					
14.	პროტოკოლი - დიპლომატიური, ოფიციალური და სოციალური ურთიერთობებისთვის	D						D		
15.	მონაცემთა ანალიზი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები						D	DP		
16.	საჯარო სამსახურში სამოხელეო კორესპონდენციის წარმოება და მართვა						MP	MP		
17.	სტრატეგიული კომუნიკაცია და PR საჯარო სექტორში		MP					MP		
18.	ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზისა და შეფასების მეთოდები საჯარო სექტორში		DP	DP						
19.	სამოხელეო სამართალი	DP		DP					D	D
20.	საჯარო პოლიტიკის ანალიზი: პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება	DP				DP		MP		

21.	ანტიკორუფციული პოლიტიკის მართვა და ეთიკა საჯარო სამსახურში	DP	DP	D		DP			D	D
22.	ღია მმართველობა, ღია მონაცემთა მართვა და საზოგადოებრივი ჩართულობა საჯარო სექტორში	DP	DP			DP		MP	D	D
23.	ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში	DP	DP	DP		DP			D	D
24.	ევროინტეგრაცია, ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკის მართვა	DP		DP					D	D
25.	მენეჯმენტის ლაბორატორია (პროფესიული უნარები დონე 2)				MP	MP				
26.	საჯარო ოპერაციათა/სერვისების დაგეგმვა, მართვა და შეფასება საჯარო სექტორში	DP	MP		MP				P	P
27.	საჯარო მმართველობის რეფორმირების გამოცდილება და კარგი პრაქტიკები	DP	MP	DP					MP	MP
28.	საჯარო მმართველობა და პოლიტიკური პროცესი		MP	MP						
29.	საჯარო მმართველობის კვლევითი პროექტი	M		M				M		

დანართი N2 - პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელების პირადი საქმეები:

(CURRICULUM VITAE)

გიორგი მარგველაშვილი
მობილური: (+995) **577 444 911**
ელ-მისამართი: margvel@gipa.ge

მიმდინარე საქმიანობა

2020- პროფესორი - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
2014 – 2018 საქართველოს პრეზიდენტი
2012 – 2014 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
2010 – 2012 - რექტორი, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

განათლება

1998 - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
1994 - ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი, პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა ასპირანტურა სოციოლოგიაში
1992 - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბაკალავრის/მაგისტრთან გათანაბრებული წოდება ფილოსოფიაში

პუბლიკაციები

2005 რედაქტორი: ზურაბ ჟვანია: „ჩვენი თაობის პრივილეგია“ 1999 რედაქტორი: „ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ცვლილებები #1“, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ (OSGF)
1998 რედაქტორი: „ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ცვლილებები #2“, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ (OSGF) რედაქტორი და თანა-ავტორი: „ადგილობრივი თვითმმართველობის სახელმძღვანელო“
1998 - ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ (OSGF) თანაავტორი „ საარჩევნო კომპანიის სახელმძღვანელო“ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) ავტორი: "ინდივიდუალური სუბსტანციის ფილოსოფია", გამომცემლობა „ნეკერი“.
1994 ავტორი: „ფინალობის პრობლემა მითოლოგიაში“- კერძო გამოცემა. 1988-2004 ავტორი და რედაქტორი

(CURRICULUM VITAE)

გვანცა ბესელია
მობილური: (+995) 558 16 87 57
ელ-მისამართი: g.beselia@gipa.ge

მიმდინარე საქმიანობა

2022 წლიდან - სასისტენტ პროფესორი, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
2019 წლიდან - დეპარტამენტის უფროსი - საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

განათლება

2022 - საჯარო მმართველობის დოქტორი, შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
2011 - საჯარო მმართველობის მაგისტრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის (შპაიერი) ერთობლივი პროგრამა
2006 - სამართლის ბაკალავრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პუბლიკაციები

- ირინა აღაპიშვილი, გვანცა ბესელია, ეკატერინე ქარდავა (რედ.), „კეთილსინდისიერება საჯარო
- სამსახურში: კორუფციული სამართალდარღვევა, ინტერესთა კონფლიქტი და თანამდებობრივი შეუთავსებლობა“, 2022
- გვანცა ბესელია, საჩუქარი საჯარო სამსახურში, გზამკვლევი საჯარო მოხელეებისათვის, თბილისი, 2018
- ირინა აღაპიშვილი, გვანცა ბესელია,ნინო ცუხიშვილი, "ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარები, თბილისი, 2018

- გვანცა ბესელია, ნინო ცუხიშვილი, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების გზამკვლევი საჯარო მოხელეთათვის, თბილისი, 2017
- ირინა აღაპიშვილი, გვანცა ბესელია, (რედ.), ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში (პრაქტიკული სახელმძღვანელო), მესამე გამოცემა, თბილისი, 2017
- ირინა აღაპიშვილი, გვანცა ბესელია, (რედ.), ეთიკა და ქცების ზოგადი წესები საჯარო სამსახურში (პრაქტიკული სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, 2016
- გვანცა ბესელია, ეთიკის როლი საჯარო მმართველობის გაუმჯობესებისათვის: ეთიკისა და სამართლის ურთიერთობა, სამართლის ჟურნალი, N1, თბილისი, 2012

(CURRICULUM VITAE)

ნანა (ნანი) მაჭარაშვილი
მობილური: (+995) 593 488 211
ელ-მისამართი: nana.macharashvili@gipa.ge

მიმდინარე საქმიანობა

2018 წლიდან - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საჯარო მმართველობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

2019 წლიდან - აკრედიტაციის ექსპერტი, საჯარო პოლიტიკა/მმართველობა, პოლიტიკის მეცნიერება, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2022 წლიდან - The NISPAcee საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სამეცნიერო ჟურნალის - NISPAcee Journal of Public Administration and Policy პარტნიორი/კოორდინატორი ჯიპა-ში.

განათლება

Ph.D (2006)- პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი # 005555, თსუ, ასპირანტურა, პოლიტიკის მეცნიერება

M.A. (2003) - მანჩესტერის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, ერთობლივი ბრიტანულ-რუსული სამაგისტრო პროგრამა

PG Diploma (2003) -მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, პროფესიული გადამზადების პროგრამა

M.A. (2001) - თსუ, მაგისტრატურა, პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი

B.A. (1999) - თსუ, ბაკალავრიატი, პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი

პუბლიკაციები

1. Macharashvili, N., Gorgodze, A., Kipiani, K., (2024), U21 and Sustainable Development Goals (SDGs), Research Report, Research Project funded by UEFA Academy.
2. ნორდბერგი, კ, ლინდი, მ., ტაბეშაძე ნ., ჩუთლაშვილი, ა., მაჭარაშვილი, ნ., (2023), რეკომენდაციები საქართველოში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების არსებითი მონაწილეობის გასაზრდელად (შვედური და ფინური გამოცდილების საფუძველზე), თბილისი: ჯიპა, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
3. მაჭარაშვილი, ნ., ცუხიშვილი, ნ. (2022), საჯარო მოხელეების მიერ მხილების მექანიზმის არსებული პრაქტიკის შეფასება, კვლევის ანგარიში, საჯარო მოხელეთა ჰაბი. თბილისი.
4. საქართველოს საჯარო სამსახურში ტექნიკური და არააკადემიური პროფესიების შესწავლა, კვლევის ანგარიში მომზადებულია ACT-ის მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისთვის (GIZ), 2022, თბილისი, საქართველო.
5. Macharashvili, N., Sanikidze. T., Beridze, E., Begoidze, M., Chalauri, N., (2020), Political Independence of Civil Servants and the Role of Senior Civil Servants. Tbilisi: GIPA with the support of UNDP Georgia.
6. მაჭარაშვილი, ნ., სანიკიძე, თ., ბერიძე, ე., ბეგოიძე, მ., ჩალაური, ნ., (2020), პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უმაღლესი საჯარო მოხელის ინსტიტუტი, თბილისი: ჯიპა, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში.
7. ძებისაშვილი, შ., მაჭარაშვილი, ნ., (2020), უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვის სახელმძღვანელო, თბილისი: ნატოს სამოკავშირეო ოფისი (NLO), პროფესიული განვითარების პროგრამა.

8. Véronique Dudouet, Alia Ashaq, Ekaterine Basilaia and Nani Macharashvili, (2018), From Policy to Action: Assessing the European Union's Approach to Inclusive Mediation and Dialogue Support in Georgia and Yemen. Peacebuilding, DOI: 10.1080/21647259.2018.1491279 (HORIZON2020)
9. Nana Macharashvili, Ekaterine Basilaia, Nikoloz Samkharadze, (2017), Assessing the EU's conflict prevention and peacebuilding interventions in Georgia, WOSCAP case-study report. https://www.woscap.eu/publications1/index.html (HORIZON2020)
10. ეკატერინე ბასილაია, ნანა მაჭარაშვილი (2017), გენდერი და კატასტროფის რისკის მართვა: თემის მედეგობის ამაღლება სპეციფიკური საჭიროებების და პოტენციალის შესწავლის გზით, კვლევის ანგარიში, კვლევა წარმოადგენს ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების და სამოქალაქო დაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამის „თემების მდგრადობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში" ნაწილს.
11. Lia Tsuladze, Nana Macharashvili & Ketevan Pachulia (2017), SOS Tbilisi, Problems of Post-Communism DOI: 10.1080/10758216.2017.1308228
12. Macharashvili, N., Basilaia, E, Tangiashvili, N. (2015) Policy Advocacy Success in Georgia: The Role and Limitations of NGOs in Influencing Public Policy, Tbilisi (manuscript on Georgian and English Languages).
13. N.Macharashvili, N.Vasadze, (2013) Book review for Ricketts, A. (2012) The Activists' Handbook: A Step-by-Step Guide to Participative Democracy, Zed BooksL London, NY, in *Community Development Journal* (2013) 48 (4): 648-651. Macharashvili N. (2011) Windows of Opportunity for governmental and non-governmental organization partnership in Georgia. Annual Publication. *Center of Training and Consultancy*. 2010
14. ნ.მაჭარაშვილი, შესაძლებლობების ფანჯრები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ტრენინგისა და კონსულტაციების ცენტრი. თბილისი: 2010.
15. საქართველოში სახელმწიფო მართვის რეფორმირება: მომსახურეობაზე დაყვანილი მოქალაქეობის პრინციპი. ტრეინინგისა და კონსულტაციების ცენტრი. თბილისი: 2009.
16. მაჭარაშვილი ნ. (2008), საქართველოში ახალი საჯარო მენეჯმენტის პრინციპების დამკვიდრების პერსპექტივები. ს.ს.ი.p. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. (მონოგრაფია).
17. მაჭარაშვილი ნ. (2008), ახალი საჯარო მენეჯმენტის ცენტრალიზებული მოდელი. ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტის კრებული პოლიტიკა დღეს: ინსტიტუტები, პროცესები, აქტორები.
18. მაჭარაშვილი ნ. (2007), შერიგება როგორც პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში თანხმობის მიღწევისა და მშვიდობის მშენებლობის საშუალება. თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.
19. მაჭარაშვილი ნ., (2007), პოლიტიკა და საზოგადოება - პოლიტიკური ფორუმი - 10 შეკითხვა საქართველოს საზოგადოებრივ განვითარებაზე - 2006, თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.
20. FOLLOWING INTERNATIONAL EXPERIENCE OF NATIONAL RECONCILIATION BY REJECTING THE RETRIBUTIVE MODEL? The *CA&CC Press® AB /Central Asia & Central Caucasus Press AB/\,* THE Caucasus &Globalization, Journal of Social, Political and Economic Studies, Vol. 1 (4), 2007
21. Нани МАЧАРАШВИЛИ, ОТКАЗ ОТ "КАРАТЕЛЬНОЙ" МОДЕЛИ ВОССТАНОВЛЕНИЯ СПРАВЕДЛИВОСТИ: ИДЕТ ЛИ ГРУЗИЯ ПО ПУТИ МЕЖДУНАРОДНОГО ОПЫТА НАЦИОНАЛЬНОГО ПРИМИРЕНИЯ? КАВКАЗ&ГЛОБАЛИЗАЦИЯ, Журналсоциально-политических и экономических исследований, Том 1 (4), 2007 г.
22. მაჭარაშვილი ნ. (2006), პოლიტიკის ანალიზი, სახელმძღვანელო, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ.
23. მაჭარაშვილი ნ. (2005), ეროვნული შერიგების საერთაშორისო გამოცდილება: რომელ მოდელს აირჩევს საქართველო. კრებ.:"წელიწდეული _ 2005", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბ.
24. Мачарашвили Н. (2004), Испанский опыт проведения политики национального примирения // კრებ.: „პოლიტიკა", # 5-6
25. მაჭარაშვილი ნ. (2001), ეროვნული შერიგების საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო. კრებული „პოლიტიკური ტექნოლოგიები", #2, თბილისი.
26. მაჭარაშვილი ნ. (2000), ადამიანის უფლებათა დაცვა. პოლიტოლოგია. სალექციო კურსების თემატიკა. თბილისი
27. მაჭარაშვილი ნ. (1998), კომპრომისი როგორც პოლიტიკური კულტურის ფენომენი. // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბ.

სამეცნიერო პროექტები/მეცნიერების განვითარების მხარდაჭერის გრანტები

2022-2026 - პროექტის ხელმძღვანელი ჯიპა-ს მხრიდან, ევროკომისიის გრანტი - ETHICS - კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - Georgia National Project ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND-3 (2022-2026)

2022-2025 - The NISPAcee - ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სამეცნიერო ჟურნალის - NISPAcee Journal of Public Administration and Policy პარტნიორი/კოორდინატორი ჯიპა-ში.

2022 - მარტი-დეკემბერი - საჯარო მოხელეების მიერ მხილების მექანიზმის არსებული პრაქტიკის შეფასება საჯარო მოხელეთა ჰაბი, მხარდაჭერის ნიდერლანდების საელჩოს მიერ.

2019-2022 - პროექტის ხელმძღვანელი ჯიპა-ს მხრიდან, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი შესაძლებლობების ამაღლება კვლევისა და განვითარების ერთეულების განვითარების გზით (HERD), ევროკომისია, ERASMUS+ Programme, 598207-EPP-1- 2018-1-GEEPPKA2-CBHE-SP

2019-2020 - სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი - საჯარო მოხელეთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უმაღლესი საჯარო მოდელის როლი, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში.

2015 წლიდან - ევროსაბჭოს მიერ ჰორიზონტ 2020-ის ფარგლებში დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის „კონფლიქტის პრევენცია და მშვიდობის შენება სოციეტალური გადაწყვეტის დონეზე“ კოორდინატორი და ადგილობრივი მკლევარი - HORIZON 2020 – EU Whole-of-Society Conflict Prevention and Peacebuilding (EU-WOSCAP), 653866 – WOSCAP –H2020-BES-2014-2015/H2020-BES-2014, Local Expert, Project Coordinator at Tbilisi State University.

2015 წლიდან – მკვლევარი, ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კვლევითი პროექტი „გარემოს დაცვის პოლიტიკის ადვოკატირება თბილისში - Research Beyond the Ivory Tower: Policy and Communications Training for University Teams programme, .'NUPI - Norwegian Institute of International Affairs fellowship for research - SOS Tbilisi: Does Environmental Civic Participation Enable Deliberative Democracy in Georgia?

2014-2016 - ავტორი საჯარო მმართველობის და პოლიტიკის მიმართულებით, განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, პროექტის "განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: ფსიქოლოგია, გენდერი, გამოყენებითი სტატისტიკა, საჯრო პოლიტიკა და მართვა" ფარგლებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

2013-2015 – ადგილობრივი ექსპერტი – V-Democracy Institute, Department of Political Science, University of Gothenburg (Sweden). https://v-dem.net/DemoComp/en/data/analysis.

2013-2014 – პროექტის ხელმძღვანელი და მთარგმნელი, აშშ-ს საელჩო, ამერიკელი ავტორების წიგნის თარგმნის პროექტი, იულიამ დანი, საჯარო პოლიტიკის ანალიზი;

2012-2014 – პროექტის ხელმძღვანელი და უფროსი მკვლევარი, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის (ASCN) გრანტი. გარე აქტორების მონაწილება საჯარო პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ფორმირებაში.

დანართი N3 – ინფორმაცია პროგრამის ადამიანური რესურსების შესახებ

#	სახელი, გვარი	აკადემიური/მოწვეული პერსონალი, აკადემიური პოზიცია	სასწავლო კურსი
1.	გიორგი მარგველაშვილი	აფილირებული პროფესორი, აკადემიური პერსონალი	• სოციალური მეცნიერებები; • საჯარო მმართველობა და პოლიტიკური პროცესი.
2.	გვანცა ბესელია	აფილირებული ასისტენტ-პროფესორი	• ანტიკორუფციული პოლიტიკის მართვა და ეთიკა საჯარო სასახურში.
3.	შალვა ლაზარიაშვილი	აფილირებული, ასოცირებული პროფესორი,	• მენეჯმენტის საფუძვლები და მართვის პრინციპები საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.
4.	გიორგი თურქია	აფილირებული, პროფესორი	• მენეჯმენტის საფუძვლები და მართვის პრინციპები საჯარო კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის; • ფინანსური მენეჯმენტი: საჯარო ფინანსებისა და ბიუჯეტის მართვა.
5.	ნიკა აბუაშვილი	აფილირებული, პროფესორი	• მენეჯმენტის ლაბორატორია (პროფესიული უნარები დონე 1); • სტრატეგიული კომუნიკაცია და PR საჯარო სექტორში; • მენეჯმენტის ლაბორატორია (პროფესიული უნარები დონე 2).
6.	თამარ კობერიძე	მოწვეული პერსონალი	• არასამთავრობო ორგანიზაციების მენეჯმენტი და სამოქალაქო მონაწილეობა.
7.	თინათინ ჩხეიძე	აფილირებული, პროფესორი	• ორგანიზაციული ქცევა.
8.	ნინო ცუხიშვილი	აფილირებული, ასოცირებული პროფესორი	• ანტიკორუფციული პოლიტიკის მართვა და ეთიკა საჯარო სასახურში; • საქართველოს საჯარო მმართველობა შედარებით კონტექსტში; • სამოხელეო სამართალი.
9.	შალვა (ლაშა) გოგიძე	აფილირებული, ასოცირებული პროფესორი, აკადემიური პერსონალი	• ღია მმართველობა, ღია მონაცემთა მართვა და საზოგადოებრივი ჩართულობა საჯარო სექტორში.
10.	ნანა მაჭარაშვილი	აფილირებული, პროფესორი	• საჯარო პოლიტიკის ანალიზი: პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვა, მონიტორინგი და შეფასება; • ადვოკატირება საჯარო სექტორის ცვლილებებისთვის.
11.	ვანო ცერცვაძე	აფილირებული, პროფესორი,	• მონაცემთა ანალიზი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები • ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზისა და შეფასების მეთოდები საჯარო სექტორში.
12.	თამარ კბილაძე	არააფილირებული, ასოცირებული პროფესორი	• ფინანსური მენეჯმენტი: საჯარო ფინანსებისა და ბიუჯეტის მართვა.
13.	კახა ურიადმყოფელი	მოწვეული პერსონალი	• ადმინისტრაციული სამართალი და საჯარო სექტორის საქმიანობა;

			• საჯარო მმართველობა და სექტორული პოლიტიკის კურსები მოქმედებაში. • შესავალი სამართალში
14.	ნათია ჭიღვარია	აფილირებული პროფესორი	
15.	ზურა რევაზიშვილი	მოწვეული პერსონალი	
16.	ნელი გოჩიაშვილი	მოწვეული პერსონალი	• ინგლისური ენა 1-4.
17.	მარინე იოსელიანი	აფილირებული, პროფესორი	• ლიდერობა საჯარო სამსახურში.
18.	თედო სანიკიძე	აფილირებული, ასისტენტი	• შესავალი საჯარო მმართველობაში.
19.	მარიამ სეხნიაშვილი	აფილირებული, ასისტენტ-პროფესორი	• თვისებრივი კვლევის მეთოდები; • სტრატეგიული კომუნიკაცია და PR საჯარო სექტორში.
20.	ანა გორგოძე	აფილირებული, ასისტენტი	• ეფექტური კომუნიკაციის უნარები.
21.	ნინო ლოლაძე	აფილირებული ასისტენტი	• ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზება და მართვა
22.	თენგიზ ფხალაძე	აფილირებული პროფესორი,	• მოლაპარაკებების ხელობა და ხელოვნება.
23.	თამთა ჭრიკიშვილი	აფილირებული ასისტენტი	• ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში.
24.	თინათინ კუპრაშვილი	აფილირებული ასისტენტ-პროფესორი	• საჯარო ოპერაციათა/სერვისების დაგეგმვა, მართვა და შეფასება საჯარო სექტორში
25.	ნიკა გიგაური	აფილირებული ასისტენტი	• საჯარო მმართველობის რეფორმირების გამოცდილება და კარგი პრაქტიკები.
26.	ალექსი ჩიქოვანი	არააფილირებული, პროფესორი	• ქვეყნის ბრენდინგის მენეჯმენტი.
27.	ლაშა კვერნაძე	მოწვეული პერსონალი	• პროტოკოლი - დიპლომატიური, ოფიციალური და სოციალური ურთიერთობებისთვის.
28.	ლიანა კაკაბაძე	მოწვეული პერსონალი	• საჯარო სამსახურში სამოხელეო კორესპონდენციის წარმოება და მართვა
29.	ივანე ჩხიკვაძე	მოწვეული პერსონალი	• ევროინტეგრაცია, ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკის მართვა
30.	შოთა ქათამაძე	მოწვეული პერსონალი	• მონაცემთა ანალიზი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები
31.	პაატა ჯავახიშვილი	მოწვეული პერსონალი	• სახელმწიფო მოწყობა - საკონსტიტუციო სამართალი.
32.	ზვიად ქორიძე	მოწვეული პერსონალი	• დემოკრატია, მედია, ძალაუფლება.
33.	ილია ჩხეიძე	მოწვეული პერსონალი	• ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკის მართვა.
34.	ნატო ბაჩიაშვილი	მოწვეული პერსონალი	• საერთაშორისო ორგანიზაციების კონტრიბუცია საჯარო მმართველობითი ცვლილებებისთვის
35.	ეკატერინე ჭავჭანიძე	მოწვეული პერსონალი	• კოლექტიური მეხსიერების მართვა და ქართული იდენტობის მარკერები.
36.	კახა ჯელია	მოწვეული პერსონალი	• მსოფლიო ცივილიზაციები.
37.	ზიზი თოხაძე	მოწვეული პერსონალი	• ინდივიდი და საზოგადოება მსოფლიო ლიტერატურაში.
38.	ნათია იაკობიძე	ასოცირებული პროფესორი	• აკადემიური წერა
39.	მედია ღვაბერიძე	ასისტენტ-პროფესორი	• ეკონომიკის საფუძვლები